



საქართველო

ჩხოროწყუს
მუნიციპალიტეტის
საკრებულო

5000 საქართველო, ჩხოროწყუ,
დ. აგმაშენბელის ქ. №1
0(417) 22-01-28.

გ/კ 010250020 35.107.016238
პ/ბ 13.03.12

Georgia
Chkhorotsku
Municipality
Council



5000 Georgia, Chkhorotsku,
D. Agmashenebeli st. #1
0(417) 22-01-28.

დადგენილება №6

2017 წლის 6 მარტი
დ. ჩხოროწყუ

არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირის „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრისთვის“ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 43¹ და 43² მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე ოქმის შედგენის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 43¹ და 43² მუხლების შესაბამისად,

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 43¹ და 43² მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმების შედგენის უფლებამოსილება მიენიჭოს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 242270984).

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



/ზესიკ ესებუა/